აკადემიური თანამდებობების შესარჩევი

საკონკურსო კომისიის მუშაობის

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

რეგლამენტი განსაზღვრავს აკადემიური თანამდებობების შესარჩევი საკონკურსო კომისიების მუშაობის პირობებს, აწესრიგებს ურთიერთობას კომისიის წევრსა და კონკურსანტს შორის. იგი განსაზღვრულია დებულებით აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ.

დარგობრივი საკონკურსო კომისია იქმნება აკადემიური საბჭოს მიერ თავმჯდომარის ბრძანებით აკადემიურ თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება სულ მცირე 2 წევრით, რომელთაგან ერთია თავმჯდომარე.

რექტორი უფლებამოსილია, სხვა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლიდან ან სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებებიდან მოიწვიოს კომისიის წევრობის კანდიდატები.

დარგობრივი კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი.

კომისიები გადაწყვეტილებებს იღებენ დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:

ა) პირველ ეტაპზე დარგობრივი კომისიის მიერ დგინდება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

განცხადება, ავტობიოგრაფია (ჩV), პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი და 2 (ორი) ფოტოსურათი, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ასისტენტ პროფესორობის კანდიდატმა _ რეკომენდაცია შესაბამის სამეცნიერო მიმართულებაში მოღვაწე ორი მეცნიერისაგან.

კანდიდატს აგრეთვე მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

სრული პროფესორის _ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა.

ასოცირებული პროფესორის _ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა.

ორივე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია: დარგის სწავლების კონცეფცია სწავლების სამივე საფეხურზე; ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით, საუკეთესოდ წარმოაჩენს მისი კვლევის უნარს და მინიმუმ ორი სილაბუსი (სილაბუსში მითითებული უნდა იყოს: საგნის სახელწოდება, სწავლების მიზანი, კურსის მოცულობა, კრედიტის მინიჭების პირობა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და საგნის გეგმა თითოეულ ლექციაზე წასაკითხი მასალების მითითებით; ბოლო 4 წლის განმავლობაში დარგთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები; აკადემიური საქმიანობის შესრულებისათვის საჭირო ადმინისტრაციული დატვირთვა (რომელიც არ ნაზღაურდება სახელფასო სარგოთი ან ერთჯერადი ჰონორარით); აკადემიური საბჭოს, ეროვნული და საერთაშორისო აკადემიების წევრობა; სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა, კონსულტანტობა, ოპონირება; სამეცნიერო კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობა და სერთიფიკატების ფლობა (პროფესიულ საქმიანობაში); ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა, წიგნის/კრებულის რედაქტორობა (რეცენზენტობა); სამეცნიერო გრანტების, პროგრამების ავტორობა, მასში მონაწილეობა, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი Mმუშაობისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობა.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:

რეკომენდაცია შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების 2 სრული/ასოცირებული პროფესორისაგან და პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ბ) მეორე ეტაპზე საუნივერსიტეტო კომისიის მიერ ხორციელდება კონკურსანტებთან გასაუბრება, რათა დადგინდეს კანდიდატის პროფესიული კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობასთან.

უნივერსიტეტის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტების შეფასებისას გამოყენებულ იქნება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შემოტანილი აპლიკაციები შეფასდება შეწონილი ქულებით, რომელთაგან სასწავლო კომპონენტის ნაწილს მიენიჭება 0.5 კოეფიციენტი, სამეცნიეროს _ 0.4(აქედან 0.3 საერთაშორისო, 0.1 ადგილობრივი) და ადმინისტრირებას _ 0.1. ეს კოეფიციენტები წარმოადგენენ თელავის უნივერსიტეტში სამომავლოდ დასაკავებელი თანამდებობისათვის აუცილებელ სამუშაო მოთხოვნებს, რაც გულისხმობს, რომ სრული შტატის სამუშაო დრო გადანაწილებული იქნება შემდეგი პრინციპით: სასწავლო აქტივობაზე _ 50%, სამეცნიერო აქტივობაზე _ 40% და არაანაზღაურებად აკადემიური საქმიანობისათვის განხორცილებულ ადმინისტრაციულ დატვირთვაზე _ 10%.

2. აპლიკანტის საკონკურსო ქულის გამოთვლა მოხდება რანჟირების სისტემით: აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ყველა აქტივობა (სასწავლო, სამეცნიერო, ადმინისტრაციული) აღინიშნება პირობითი ნიშნით (ვარსკვლავი), შეჯამდება და გამრავლდება შესაბამისი აქტივობის კოეფიცინტზე. საბოლოოდ მოხდება კოეფიციენტებზე გამრავლებული ქულების ალგებრული შეჯამება, რაც წარმოადგენს აპლიკანტის საკონკურსო ქულას.

3. აუცილებელი მინიმუმი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

- **სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:**

ბოლო 4 წლის განმავლობაში: ერთი საერთაშორისო პუბლიკაცია; Eერთ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა; რომელიმე დასავლეთ ევროპული ენის ცოდნა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული - კომუნიკაციის უნარი, დარგში თემატური დისკუსიის წაყვანის უნარი და სამეცნიერო დისკუსიაში საკუთარი მოსაზრების გასაგებად წარმოდგენა), სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელობა.

- **ასოცირებული პროფესორისათვის** ბოლო 4 წლის განმავლობაში: ან ერთი საერთაშორისო პუბლიკაცია; ან ერთ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა; ან რომელიმე დასავლეთ ევროპული ენის ცოდნა (ინ გლისური, გერმანული, ფრანგული - კომუნიკაციის უნარი, დარგში თემატური დისკუსიის წაყვანის უნარი და სამეცნიერო დისკუსიაში საკუთარი მოსაზრების გასაგებად წარმოდგენა).

- **ასისტენტ პროფესორისათვის** – კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა: მინიმუმ დოქტორანტი საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში.

I. სასწავლო კომპონენტი შედგება:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობა:

- საბაკალავრო და უმაღლესი პროფესიული

- სამაგისტრო/სადოქტორო

2. ხელმძღვანელობა, კონსულტანტობა, რეცენზირება:

- საბაკალავრო შრომაზე (საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან სრული პროფესორობის კანდიდატები.

- სამაგისტრო შრომაზე

- სადოქტორო შრომაზე

3. **სხვა უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა თელავის უნივერსიტეტის სახელით:**

- უცხოეთი

- საქართველო

4. ახალი სასწავლო კურსების შექმნა და დანერგვა

5. სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის ხელმძღვანელობა

6. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი სერტიფიკატების ფლობა:

- საერთაშორისო

- ადგილობრივი

II. სამეცნიერო კომპონენტი შედგება:

1. პუბლიკაციები:

- სტატიები საერთაშორისო გამოცემებში

- სტატიები ადგილობრივ გამოცემებში

- მონოგრაფია საერთაშორისო გამომცემლობაში

- მონოგრაფია ადგილობრივ გამომცემლობაში

- სახელმძღვანელო საერთაშორისო გამომცემლობაში

- სახელმძღვანელო ადგილობრივ გამომცემლობაში

2. კონფერენციები:

- საერთაშორისო კონფერენციაზე ზეპირი მოხსენება

- ადგილობრივ კონფერენციაზე (არანაკლებ საუნივერსიტეტო) ზეპირი მოხსენება

- სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა:
- წიგნის რედაქტორობა
- წიგნის, სტატიის რევიურება, რეცენზირება:

_ საერთაშორისო

_ ადგილობრივი

4. სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა და/ან მონაწილეობა:

- საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამა

ხელმძღვანელობა/მონაწილეობა

- ადგილობრივი სამეცნიერო პროგრამა

ხელმძღვანელობა/მონაწილოება

5. სამეცნიერო საზოგადოებების წევრობა:

- საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
- საერთაშორისო დარგობრივი აკადემიების წევრობა
- დარგობრივი აკადემიების წევრობა

III. ადმინისტრაციული კომპონენტი

1. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს წევრობა.

2. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა.

3. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს წევრობა.

4. საინფორმაციო მეთოდური ლიტერატურის შედგენა-გამოცემა.